

შპს რიცეულაჰესი

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024
წლის 31 დეკემბერს

შპს რიცეულაჰესი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ქართულ ერთეულ ლარში	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები ძირითადი საშუალებები	3	2,650,096	1,721,930
სულ გრძელვადიანი აქტივები		2,650,096	1,721,930
მიმდინარე აქტივები მარაგები		22,861	21,153
სავაჭრო მოთხოვნები		170,561	303,531
გადახდილი ავანსები		11,791	224,930
ფული და ფულის ექვივალენტები		622,725	1,304,614
გაცემული სესხები	4	2,637,544	1,747,148
სულ მიმდინარე აქტივები		3,465,481	3,601,375
სულ აქტივები		6,115,577	5,323,305
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		363,546	363,546
გაუნაწილებელი მოგება		5,587,425	4,893,355
სულ კაპიტალი		5,950,971	5,256,901
ვალდებულებები			
მიმდინარე ვალდებულებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		160,635	56,844
საგადასახადო ვალდებულებები		3,972	9,561
სულ ვალდებულებები		164,607	66,404
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		6,115,577	5,323,305

შპს რიცეულაჰესი
მოგება - ზარალის ანგარიშგება

ქართულ ერთეულ ლარში	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი	5	2,080,500	2,695,443
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	6	(952,910)	(831,979)
საერთო მოგება		1,127,590	1,863,464
სხვა ხარჯები და შემოსავალი, წმინდა		(21,896)	(24,962)
სულ საოპერაციო შემოსავალი		1,105,694	1,838,502
ფინანსური შემოსავალი		190,396	129,666
ფინანსური ხარჯი		(9,746)	(3,985)
სულ წლის მოგება		1,286,344	1,964,183

შპს რიცეულაჰესი
კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

<i>ქართულ ერთეულ ლარში</i>	<i>საწესდებო კაპიტალი</i>	<i>გაუნაწილებელი მოგება</i>	<i>სულ</i>
1 იანვარი, 2023 წელი	363,546	3,467,603	3,831,149
წლის სრული მოგება	-	1,964,183	1,964,183
გამოცხადებული დივიდენდები	-	(538,430)	(538,430)
31 დეკემბერი, 2023 წელი	363,546	4,893,355	5,256,901
წლის სრული მოგება	-	1,286,344	1,286,344
გამოცხადებული დივიდენდები	-	(592,275)	(592,275)
31 დეკემბერი, 2024 წელი	363,546	5,587,424	5,950,970

შპს რიცეულაჰესი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

ქართულ ერთეულ ლარში	შენიშვნა	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები		2,091,719	2,122,358
მომწოდებლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები		(44,468)	(147,504)
თანამშრომლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები		(250,160)	(250,538)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები		1,797,091	1,724,317
გადახდილი გადასახადები		(140,000)	(137,476)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები, წმინდა		1,657,091	1,586,841
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
სესხის გაცემა		(700,000)	-
ძირითადი საშუალებების შესაძენად გადახდილი ფულადი სახსრები		(1,056,240)	(252,647)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი სახსრები, წმინდა		(1,756,240)	(252,647)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
გადახდილი დივიდენდი		(579,162)	(50,000)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული ფულადი სახსრები, წმინდა		(579,162)	(50,000)
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულსა და ფულის ეკვივალენტებში, წმინდა		(3,578)	(2,725)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში		1,304,614	23,144
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს		622,725	1,304,614

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „რიცეულაჰესი“ შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ საიდენტიფიკაციო ნომრით 222936517. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ელექტროენერგიის გენერირება.

კომპანიის იურიდიული მისამართი : თბილისი, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, პეკინის გამზ. 34.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების შეჯამება

მომზადების საფუძველი. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულში (ლარი).

სამუშაო და საანგარიშგებო ვალუტა. თითოეული კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც საწარმო ოპერირებს. საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი ("ლარი"), რაც წარმოადგენს კომპანიის ფუნქციურ ვალუტას, რომელშიც წარმოდგენილია კომპანიის ცალკეული ფინანსური ანგარიშგება. ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ყველა თანხა უახლოეს ათასზეა დამრგვალებული.

უცხოური ვალუტა. კომპანიის ცალკეული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ისეთი ვალუტა რომელიც განსხვავდება კომპანიის ფუნქციონალური ვალუტისაგან (უცხოური ვალუტა) აღიარებულია ტრანზაქციის თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. სამართლიანი ღირებულებით აღიარებული არაფულადი სახსრები, რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, გადაყვანილია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით იმ თარიღში, როდესაც მათი სამართლიანი ღირებულება იქნა დადგენილი. გაცვლითი კურსით კონვერტაცია არ ეხება იმ არაფულად სახსრებს, რომლებიც უცხოურ ვალუტაში განსაზღვრულია ისტორიული ღირებულებით.

ფულადი სახსრების საკურსო სხვაობები აღიარებულია მოგება-ზარალში იმ პერიოდში რომელშიც ისინი წარმოიშვა, გარდა უცხოურ ვალუტაში არსებული სესხების საკურსო სხვაობებისა, რომლებიც ეხება კონსტრუქციის ქვეშ მყოფ, მომავალში პროდუქტიული გამოყენებისთვის არსებულ აქტივებს, რომლებიც მოცულია იმ აქტივების ღირებულებებში, როდესაც ისინი განიხილება, როგორც უცხოურ ვალუტაში არსებული სესხების საპროცენტო ხარჯების კორექტირება.

ცალკეული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის მიერ გამოყენებული გაცვლითი კურსები შემდეგნაირია:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ლარი/ 1 აშშ დოლარი	2.8068	2.6894
ლარი/ 1 ევრო	2.9306	2.9753

ამჟამად ქართული ლარი საქართველოს გარეთ, ქვეყნების უმრავლესობაში თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა არ არის.

2. მნიშვნელოვანი საადრიცხო პოლიტიკების შეჯამება (გაგრძელება)

შემოსავლის აღიარება. შემოსავალი რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგები აღიარდება წრფივი მეთოდით. მისი შეფასება ხდება წმინდა ღირებულებით, დღგ-ისა და ფასდაკლებების გარეშე. შემოსავალი იზომება, როგორც გაყიდვის შედეგად მიღებული აქტივის სამართლიანი ღირებულება.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია როგორც ღირებულებას გამოკლებული აკუმულირებული ცვეთა და სადაც საჭიროა გაუფასურების რეზერვი.

ძირითადი საშუალებების მთავარი ნაწილების ან კომპონენტების გამოცვლის ხარჯები კაპიტალიზირდება და ხდება ჩანაცვლებული ნაწილების თავიდან მოშორება. შემდგომი ხარჯები კაპიტალიზირდება თუკი ხარჯებიდან წარმოიშვება მომავალი ეკონომიკური სარგებელი. შეკეთება შენარჩუნების უმნიშვნელო ღირებულება აღიარდება ხარჯებში განხორციელების დროს.

რეალიზაციიდან მიღებული მოგება-ზარალი განსაზღვრულია საბალანსო ღირებულების ცვლილების შედარებიდან გამომდინარე და აღიარებულია მოგება-ზარალის ცალკეულ ანგარიშგებასა და სხვა სრულ შემოსავლებში სხვა საოპერაციო შემოსავალსა და ხარჯების ფარგლებში.

ცვეთა. მიწაზე ცვეთის დარიცხვა არ ხდება. ძირითადი საშუალებების სხვა ნივთებზე ცვეთის კალკულაცია ხდება წრფივი მეთოდით, რათა ღირებულება განაწილდეს მათ სასარგებლო სასიცოცხლო ვადაზე ნარჩენ ღირებულებამდე:

სასარგებლო გამოყენების ვადა	
შენობები და კონსტრუქციები	10-დან 50 წლამდე
ჰიდროტექნიკური სტრუქტურები	5-დან 60 წლამდე
მანქანა დანადგარები	5-დან 30 წლამდე
ავეჯი და სხვა ინვენტარი	2-დან 10 წლამდე

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის განსაზღვრული რაოდენობა, რასაც კომპანია მიიღებს აქტივის რეალიზაციიდან გამოკლებული გაყიდვისთვის საჭირო ხარჯები, იმ შემთხვევაში თუკი აქტივი იქნება მისი სასარგებლო სასიცოცხლო ვადის ამოწურვის პერიოდში. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო სასიცოცხლო ვადა საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და კორექტირდება.

ფული და ფულის ექვივალენტები. ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავსნად ფულს, ბანკთაშორის განთავსებულ მოთხოვნამდე დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალილიკვიდურ ინვესტიციებს, რომელთა დაფარვის თავდაპირველი ვადა სამი თვე ან უფრო ნაკლებია. ფული და ფულის ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება/ზარალში.

გაცემული სესხები. გაცემული სესხები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ამოუღებელი საპროგნოზო თანხების შესაბამისი რეზერვი მოგებაში ან ზარალში აღიარდება მაშინ, როდესაც არსებობს იმის ობიექტური მტკიცებულება, რომ აქტივი გაუფასურებულია.

სავაჭრო ვალდებულებები. სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღიარებულ ვალდებულებებს და მათ პროცენტი არ ერიცხება.

შპს რიცეულაჰესი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები - 2024 წლის 31 დეკემბერი

3. ძირითადი საშუალებები

შემდეგი ცხრილი აჩვენებს ძირითადი საშუალებების მოძრაობას 2024 და 2023 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლების განმავლობაში:

ქართულ ერთეულ ლარში	მიწა	ჰიდროელექტრო- ნიკური ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ავტოსატრანს- პორტო საშუალებები	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სულ
ღირებულება 1 იანვარი 2023	14,400	290,002	2,922,410	12,964	5,670	3,245,445
დამატება	-	-	225,958	-	78,227	304,186
31 დეკემბერი 2023	14,400	290,002	3,148,367	12,964	83,897	3,549,631
დამატება	-	-	1,180,352	-	-	1,180,352
31 დეკემბერი 2024	14,400	290,002	4,328,720	12,964	83,896	4,729,982
დაგროვილი ცვეთა 1 იანვარი 2023	-	(146,781)	(1,520,380)	(12,438)	(3,791)	(1,683,390)
ცვეთის ხარჯი	-	(7,268)	(136,563)	(104)	(376)	(144,310)
31 დეკემბერი 2023	-	(154,049)	(1,656,943)	(12,543)	(4,167)	(1,827,703)
ცვეთის ხარჯი	-	(8,879)	(242,900)	(105)	(301)	(252,185)
31 დეკემბერი 2024	-	(162,928)	(1,899,843)	(12,647)	(4,468)	(2,079,886)
საბალანსო ღირებულება						
31 დეკემბერი 2023	14,400	135,953	1,491,424	420	79,730	1,721,928
31 დეკემბერი 2024	14,400	127,074	2,428,877	317	79,428	2,650,096

დამატებები მანქანა-დანადგარებზე ძირითადად შედგება ჰიდროელექტროსადგურისათვის განკუთვნილი გენერატორებისა და ავტომატიზირებული მართვის სისტემა SCADA-სგან ღირებულებით 617,648 ლარი და 166,085 ლარი 2024 წლისთვის, ხოლო 177,568 ლარი და 78,227 ლარი 2023 წლისთვის, შესაბამისად.

შპს რიცეულაჰესი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები - 2024 წლის 31 დეკემბერი

4. გაცემული სესხები

ქართულ ერთეულ ლარში	საპროცენტო განაკვეთი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
მიმდინარე			
მეკავშირე მხარეები	11.3%	2,637,544	1,747,148
სულ გაცემული სესხები		2,637,544	1,747,148

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრისთვის გაცემულ სესხზე დარიცხული პროცენტი შეადგენს 190,396 ლარსა და 129,666 ლარს, შესაბამისად.

5. შემოსავალი

ქართულ ერთეულ ლარში	2024	2023
ელექტროენერგიის გაყიდვა - ადგილობრივი კლიენტები	1,958,975	2,531,545
მომსახურების გაწევა	116,949	159,322
საიჯარო შემოსავალი	4,576	4,576
სულ შემოსავალი	2,080,500	2,695,443

6. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

ქართულ ერთეულ ლარში	2024	2023
თანამშრომელთა ხელფასები	256,791	244,473
ძირითადი საშუალებების ცვეთა და ამორტიზაცია	252,273	144,312
ძირითადი საშუალებების საოპერაციო იჯარა	183,104	209,960
ინფორმაციის, საკონსულტაციო და სხვა პროფესიული ხარჯები	108,851	88,047
დაზღვევის ხარჯი	49,796	42,057
მასალები და სახარჯი მასალები	47,331	20,122
კომუნალური ხარჯები	32,344	12,364
ტრანსპორტირებისა და ავტომანქანების ხარჯები	15,815	16,412
სარემონტო და ტექნიკური სამუშაოების ხარჯი	-	47,014
სხვა ხარჯები	6,605	7,217
სულ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	952,910	831,979

შპს რიცეულაჰესი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები - 2024 წლის 31 დეკემბერი

7. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ სხვა ისეთი მნიშვნელოვანი გარემოებებს, რომელთა ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტება საჭირო იქნებოდა, ადგილი არ ჰქონია.

23 სექტემბერი, 2025

დირექტორი



მთავარი ბუღალტერი


